**რედაქცია**

გალავინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

[illegible] ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთ მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ენკენისთვიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი მველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

---

სავაჭრო სახლი

**„ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“**

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

**ხარკოვში**—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.

**თბილისში**—გალავინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.

**სებასტოპოლში**—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში**, **ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—14)


# ტელეგრამმები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

**ქუთაისი**, 2 ენკენისთვეს. დღეს დილის 2 საათზე გარდაიწვა მთელი ხონის ბაზარი, გარდა ორ წყების დუქნებისა. ზარალი რამდენიმე ათი ათასი მანეთია. ამტკიცებენ, რომ ცეცხლი მალად არის წაკიდებული. გადარჩენილ დუქნებსაც ორჯერ წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ დროზე შეიტყვეს და დააქვრეს. დამნაშავეები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. მალიან კარგი იქნება, სასტიკ გამოძიებას რომ დანიშნავდნენ როგორც ამ ცეცხლის გაჩენის თაობაზედ, აგრეთვე ცეცხლის დროს მოტაცებულ საქონლის აღმოჩენაზედაც.

(„საღხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურგი**, 31 აგვისტოს (დაგვიანებულია როსტოვში) მათი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი ვლადიმირ და ალექსი ალექსანდრეს-ძენი დღეს 4 საათ ნახევარზე მშვიდობით მობრძანდნენ პეტერგოფში.

**ბაზელი**. პლატენბერგი ჩამოწვა და დაიტანა სოფლის ელმის ერთი ნაწილი. დაიღუპა 150 კაცი. მთელი სოფელი, რომელშიაც 10 ათასი კაცია შიშის ქვეშ არის.

„ახალ დროებას“ სწერენ ბერლინიდამ, რომ ბისმარკი რუსის ელჩით საბუროვით წავიდა ვარცინში, სადაც უნდა ერთად დაწყონ და რიგიანს ფორმაში მოიყვანონ იმპერატორების ერთმანერთთან ნახვის და მოლაპარაკების რეზულტატი.

**პეტერბურგი**, 1 სეკტემბერს. დღეს გამოვიდა პირველი ნომერი სასოფლო უწყებისა, რომელიც მმართებლობის მოამბესთან გამოიცემა ყოველ კვირა. ხელ-მოწერის ფასი წლის ბოლომდის ერთი მანეთი. სოფლის საზოგადოებას გაზეთი მუქთად გაეგზავნება.

**პეტერბურღის ბირჟა**, 1 სეკტემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96—75 |
| მეორესი— — — — | 94—37 |
| მესამესი — — — — | 94—75 1/2 |
| მეოთხესი — — — | 93—87 1/2 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 90—75 1/2 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90—75 1/2 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91— „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7—60 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 228— „ |
| მეორე სესხის — — | 222—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25—97 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 222—62 | ცენტი |
| პარიჟი — — | 274—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — — — | |

**პეტერბურღი**, 1 ენკენისთვეს. დღეს მოხდა ტირაჟი მეორე შინაგან მოგებიან სესხის ბილეთებისა; მოგება ხვდათ შემდეგ ბილეთებს:

| № სერიისა | ბილეთებისა | მოგება |
|---|---|---|
| 8414 | 32 | 200,000 მ. |
| 17003 | 10 | 75,000 |
| 9333 | 38 | 40,000 |
| 10564 | 14 | 25,000 |
| 5944 | 14 | 10,000 |
| 19113 | 37 | 10,000 |
| 12285 | 34 | 10,000 |
| 8461 | 1 | 8,000 |
| 9810 | 37 | 8,000 |
| 2915 | 30 | 8,000 |
| 5613 | 9 | 8,000 |
| 18967 | 7 | 8,000 |
| 1956 | 33 | 5,000 |
| 13471 | 24 | 5,000 |
| 2710 | 37 | 5,000 |
| 4438 | 40 | 5,000 |
| 1899 | 5 | 5,000 |
| 19280 | 3 | 5,000 |
| 5708 | 9 | 5,000 |
| 16065 | 16 | 5,000 |

---

«დროების» ფელეტონი, 3 სეკტემბ.

## ქუთათური ამბავი

სწავლის დაწყების დრო ჩვენს სასწავლებლებში.—ტირილი მცირე ვაკანსიებისა გამო.—მისაღები ეგზამენები.—სად მიდიან სწავლის გარეშე დარჩენილნი?—მგლები ცხვრის ტყავებში.—ტფილისელი ტრუპპის სტუმრობა და მათი წარმოდგენანი.—თეატრის მოყვარულთა წრე სოფ. დიდ-ჯიხაიშს და ამ წრის მიზანი.

ბუნებისაგან ნაკურთხი და კანონისაგან მივიწყებული ჩვენი ქუთაისი ყოველ ზაფხულის დამლევსა და შემოდგომის დამდეგს ხდება მოწმედ მისი ქვეყნის ნორჩ შვილთაგან მდუღარე ცრემლის ღვრისა და ქვითინისა.

ამ დროს იწყება სწავლის დრო ჩვენს სასწავლებლებში და მათში შესვლის მსურველთა მისაღები ეგზამენები, რომლებზედაც ბრალიანს და უბრალოს ერთ ნაირის გულ-გრილობით „ჩეხენ“, რადგანაც ვაკანსია ერთია მსურველი კი ოცი და ხშირად მეტიც.

ამისთანა შემთხვევაში, რასაკვირველია, საკმაო ბავშვს ერთხელ შეუბორძიკდეს ენა რომ იგი იმ წამშივე „ჩასჭრან“ და დაუხშონ (ხშირად სამუდამოდ) „კარნი სიბრძნისა“, რომელთაც თვით ბავშვები და დედ-მამანიც ამაოდ ევედრებიან „მოგვხედეო“. ამ გვარად განათლების კარებიდამ გამოგდებულთ მიუმატოთ უფრო ბევრი იმისთანანი, რომელთაც თავიანთ სახლიდამ არ დაუძრავთ ფეხი, იმ მიზეზის გამო, რომ წინ-დაწინ ჰქონდათ შეტყობილი უვაკანსიობა ყველა სასწავლებლებში; დავუმატოთ კიდევ უფრო ბევრი რიცხვი იმისთანაების, რომელთაც შინიდამ დაძვრაც არ შეუძლიათ სიღარიბისა გამო, კიდეც რომ იყოს ვაკანსია,—და ჩვენ შევადგენ უთვალავს გუნდს ორივე სქესის ყმაწვილებისას, მათდა და ჩვენდა საუბედუროდ სწავლის წრის გარეშე დარჩენილთა.

მუდამ წელს ამისთანა ამბავია, ყოველ წლობით ახალ-ახალი გუნდი „კარ დახშულთა“ ემატება წინანდელთ გუნდებსა.... სად მიდიან ამისთანა უარის შემდეგ ეგ საბრალო კარ-დახშულნი, რა ხელობას ეტანებიან და რითი ირჩენენ თავს დახნიერების დროს? წაიკითხეთ ავაზაკთა სიები და დაინახავთ, რომ კაი-ძალი პროცენტი იმ სიებისა ამათგან შესდგება; შეიხედეთ სხვა-და-სხვა საგამგეო უწყებების კანცელარიებში და თქვენი თვალით დაინახავთ, რომ ბლომა ნაწილს რის ვაი-ვაგლახით დაუსწავლია წერა-კითხვა და გადამწერლებად დამდგარა; მოიკითხეთ მზარეულ-ფარეშები და შეიტყობთ, რომ ათობით ურევიან მათ შორის ისინი.

ამ ნაირად, მამულის მწარმოებელ ძალის მაგიერად, დიდი უმრავლესობა ჩვენის ნორჩი ახალ-გაზდობისათვის უნებლიეთად ხდება ან ციმბირის მსხვერპლად, ან გადამწერლებად და ფარეშ-ლაქიებად, ერთის სიტყვით იმად, რასაც ჰქვია უწარმოებელი ნაწილი საზოგადოებისა, და რომელსაც ჩვენ მავ-ჭირსავით უნდა უფრთხილდებოდეთ.

ჭირის გასაორკეცებლად ამათ რიცხვს ემატებიან ისინიც კი, რომელნიც ღირსნი გამხდარან სასწავლებლებში მიღებისა, მაგრამ „მიზეზთა გამო სხვი-

| | | |
|---|---|---|
| 4653 | 24 | 1,000 |
| 2261 | 32 | |
| 2570 | 8 | |
| 7554 | 38 | |
| 17906 | 31 | |
| 5227 | 10 | |
| 8370 | 47 | |
| 7745 | 16 | |
| 3608 | 20 | |
| 15262 | 37 | |
| 14865 | 12 | |
| 12282 | 50 | |
| 8515 | 23 | |
| 16743 | 14 | |
| 5109 | 10 | |
| 19877 | 24 | |
| 3121 | 36 | |
| 1737 | 14 | |
| 5551 | 16 | |
| 12098 | 42 | |

## ახალი ამბები.

გუშინ წინ, 1 სეკტემბერს, ჩამოვიდა თბილისში ბატ. თავმჯდომარე მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოებისა გრაფი ა. ს. უვაროვი, რომელიც უნდა დაესწროს თბილისის V არხეოლოგიურ კრებას.

გრაფი ჩამოხტა მთავარ მმართებელის სასახლეში, საცა ასიოდე გარეშე სტუმრების სადგომათ არის დამზადებული ოთახები.

* * *

გუშინ, 2 ამ თვისას, დაიწყო თბილისის თეატრში რუსული სპეკტაკლები. როგორც ამას წინათ იყო გამოცხადებული ჩვენს გაზეთში, თეატრის გამგეობა უჭირავს ბატ. ა. პალმს, რომელსაც ბატ. ანტრეპრენიორმა ს. ა. პალმმა მიანდო თეატრის წარმართვა. თითონ ანტრეპრენიორი ოდესაშია. საცა ოპერა აქვს აღებული.

* * *

დღეს სომხების დრამმატიულ ტრუპას აქვს პირველი წარმოდგენა, ახალის აკტიორებით და აკტრისებით, რომლებიც სომხური თეატრის გამგეთ მოუწვევიათ სტამბოლიდამ.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბატ. ბიგო ბერიძე, რომელიც გუშინდელ გაზეთში იყო მოხსენებული, დასჭრეს გზის ავაზაკებმა ოზურგეთიდამ მომავალ დილიჟანშიო გადაცვლილა ამ დაჭრილობის გამო.

* * *

აბორჯებულია წრევანდელი ზაფხულის საქმე.

გუშინ, 2 სეკტემბერს, ისრე ციოდა თბილისში, რომ ბევრს ზამთრის პალტო გამოაღებია შკაფიდამ. ჩვენი დაჩნიკების ურმებიდამ და ფურგუნებიდამ ქუჩაზე ტევა აღარ არის თბილისში. ზამთრის სეზონი დაიწყო.

* * *

მთიდამ გვწერენ:

„წლევანდელს მოსავალზედ საზოგადოთ ყველა მხარეებიდამ დიდი ქება ისმის, გარდა ამ ჩვენი პაწაწინა ხეობისა. არ ვიცი მარტო ჩვენ რალა დავაშავეთ ასეთი: წლეულ ისე მომცდარია აქ ყანები, რომ შიგ მწყერიც ვერსად დაიმალება, მოგეხსენებათ რომ, ამ ჩვენს კავკაზიის მთებში, სახნავ-სათესი მამულის სიმცირის გამო, უიმისოთაც ძრიელ ცოტა მოდის მოსავალი, თორემ წლევანდელი წელიწადი კი ღმერთმა შეინახოს: რომელთაც რიგიან მოსავლიანს წელიწადში 5–6 თვის სამყოფი საზრდო მოსვლიათ, ისინი წრეულს 2–3 თვის სამყოფს მოსავალსაც აღარ მოელიან. რა არის ამისი მიზეზი? ამის მიზეზი გახლავსთ ის, რომ, შარშან აგვისტოს თვეში ჩამოყარა აქ თოვლი, და მოსამკალი ყანები სულ ქვეშ დაიტანა თანაც გამოიღო სიცივე, და მთელი ერთი კვირის განმავლობაში თოვლი აღარ აიღო მზემ დიდა-მიწიდამ; ნელად ყანებს ნაყოფი სრულებით გაეყინა და ადრეულიც გააფუჭა, სე რომ, იმისაგან გამომცხვარს პურს საჭმელათ ხმარების დროს შესანიშნავათ ცუდი გემო ჰქონდა პირში; დათესეს და თესლათაც აღარ გამოდგა; დათესილისა ნახევარი ნაწილიც აღარ გაღივებულა. ახლა მრავალნი ჩვენგანნი სწუხან, თუ რა საშუალება და ღონის-ძიება იხმარონ მომავალ ზამთარში ჯალაბობის გამოსაკვებავათ. უველანი ახლავე კარგათ ხედავენ თავიანთს მომავალ ბედს, ამისათვის, რასაკვირველია, ყველა ეხლავე თადარიგს შეუდგა. მაგრამ აქ ისრეთნი პირნიც ირიცხვიან ჩვენ შორის, რომელნიც მოკლებულ-არიან ყველა ღონის-ძიებას და რაც უნდა ადრე ნახონ თადარიგი და ეცადონ გაჭირვებას თავიდამ მაინც ვერ აიცდენენ“.

—

სტამბის შეცდომა:

ჩვენი გაზეთის 181 №-ში, გორიდამ მოწერილს კორრესპონდენციაში ნაცვლად: გორის სიდუძლებით გამდიდრება—უნდა იყოს: გორის ხიდის გაკეთება.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გურია, 28 აგვისტოს. ვინც გურიის ახლანდელ მდგომარეობას დაუმკვირდება, უეჭველია, ცხადათ დაინახავს, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა თან-და-თან უკან მიდის; იმის შვილებს აკლდება განთქმული პატიოსნება; ვხედავთ, რომ განჰქრა ის სანატრელი დრო, როდესაც გურული ჰკიცხავდა სხვების ბოროტ-მოქმედებას. ამ უკანასკნელ დროში არა-ერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, რომ ესა-და-ეს კაცი მოჰკლეს, ესა-და-ეს გაქურდეს, ეს გაცარცვესო და სხვა და სხვ.

ყველა ამ ბოროტ-მოქმედებას უყურადღებოთ ჩაუვლია. ამ თვის ოც-და-სამს ოზურგეთიდამ სამტრედიის მიმავალ დილიჟანს დახვედრია რამდენიმე ავაზაკი და შიგ მჯდომნი გაუცარცვავთ, ერთი ამათგანი ბ. ბიგო ბერიძე მძიმეთ დაუჭრიათ და რამდენიმე საათის განმავლობაში სული განუტევებია; გამარჯვებულ ავაზაკებს გაუქუსლავთ თავიანთ გზისაკენ.

გასაკვირველია, ღმერთმანი, ბ. ოზურგეთის მაზრის უფროსი, რატომ თვალ-ყურს არ იჭერს, რომ ამოდენა ავაზაკური მოქმედება ხდება მის მაზრაში.

ამ სამი წლის წინეთ გურიაში საზოგადო ყრილობამ, მამასახლისების განკარგულებით, დაასახელეს ქურდები და წარუდგინეს ადგილობრივ ადმინისტრაციას; მაგრამ ადმინისტრაციის უყურადღებობით, ეს საზოგადოების დამღუპველი ქურდები განთავისუფლებულ იქმნენ და დღესაც დანავარდობენ. წარმოიდგინეთ, ერთ პატარა სოფლიდგან (მამათიდგან) მოიპარეს თორმეტამდის ცხენი ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში და სხვას ანგარიში არა აქვს. დახელოვნებულნი ეხლა თამამად დადიან, ვინ არის ყურის მთხოვებელი და გულ-შემატკივარი, რომ ამ დამღუპველ სენის მოსპობისათვის ზრუნვიდეს? ვისიც ვალია, ამას ყურადღება მიაქციოს, ისინი გულ-გრილათ უყურებენ და სრულებით არა ცდილობენ, რომ ამ უბედურებისაგან გამოიხსნან გურია.

ამ ბოროტ ხალხის უმეტესი ნაწილი არის ახალ-გაზდობა. რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო მოვლენა, თუ არ უსწავლელობას. ამისათვის საჭიროა, რომ სკოლები გაავრცელონ და მისცენ ახალ-მოზარდე ყმაწვილებს სწავლის საშვალება და გზა.

საზოგადოთ ჩვენებურ ხალხს სწავლა სულით და გულით სურთ, მაგრამ იმათ დახშული აქვსთ სწავლის გზა. როდესაც სწავლის გზა გახსნილი ექნებათ, რასაკვირველია, მათი უმთავრესი მხედველობა სწავლაზედ იქნება მიზიდული და მაშინ მოკლებული იქმნება იმ ავაზაკურ-მოქმედებას, რომელსაც ეხლანდელი მო-

სა და სხვისა“ კურს-დასრულებამდის სტოვებენ შაგირდის სკამებს...

*Delenda Carthago!* ერთხელ კიდევ ვიტყვით, ჩვენვე მოვსძებნოთ წამალი ჩვენის ჭირისა, ვეცადოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შემწეობით ჩვენვე დავაარსოთ საკუთარი ქართული სასწავლებლები...

—

მოგეხსენებათ, სასწავლებლებში მიღებულია, რომ ეგზამენის დროს ერთს ანუ ორს საგანში ჩაჭრილ მოსწავლეს ნებას აძლევენ ხელ-მეორედ ექზამენის დაჭერისას იმავ საგნებიდამ, რომელშიაც იგი ჩაიჭრა. უეჭველია, რომ ამ წესის შემომღებს კეთილი მიზანი ჰქონდა და სურდა რითიმე შეემსუბუქებინა მოსწავლე ახალ-გაზდობის მძიმე ტვირთი და თითქმის შემოუვლელი, სიძნელე სწავლისა. როგორც ყველაფერი სხვა, ისე ეს კეთილი მიზანიც ჩვენში გადიქცა ბოროტების სათავედ და მრავალ მოსწავლეთა დამღუპველ იარაღად... ზოგიერთა ვერაგ მასწავლებელთა წყალობით, ნამეტურ იმისთანაების, რომლებთაც სახლში სადგომად იყვანებენ რამოდენიმე შაგირდებს, — ექზამენების დროს თითო-ოროლა საგნებში „იჭრება“ გასაოცარი პროცენტი მოსწავლეთა.

„ჩაჭრილებს“, რასაკვირველია, ნებას აძლევენ ხელ-მეორედ დაიჭირონ იმ საგნებიდამ ექზამენები. ზემოხსენებულთ მასწავლებლებს უდგებათ სასურველი დრო: ისინი ეუბნებიან ამ შაგირდებს: „გნებავსთ ექზამენის კარგად დასაჭერად მოემზადოთ და შემდეგ კლასში გადახვიდეთ? მაშ მე მომებარეთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ გადახვალთ“ .. თუ ყმაწვილი შეძლებული მშობლების შვილია და შეუძლია ამისთანა ძალად-რეპეტიტორს-კანიკულების (3 თვის) განმავლობაში მისცეს რამდენიმე ასი მანეთი, ხომ „გაკეთდა“ მისი საქმე: რეპეტიტორი მასწავლებელი თვითონ ინიშნება ექზემენატორად და გადაჰყავს მისგანვე მომზადებული *) შაგირდი, თუმც ეს უკანასკნელი ღირსიც არ იყოს... თუ კი ყმაწვილი იმდენად შეძლებული არ არის, რომ ამისთანა რეპეტიტორს მიებაროს, მაშინ ვაი იმისი ბრალი: რაც უნდა კარგად მომზადებული იყოს მაინც ჩაიჭრება მაზედ გულ-მოსულ რეპეტიტორისაგან.

იშვიათად რომ იყოს ამისთანა მოვლენა მაშინ კიდევ იმდენი ბოროტება არ იქნებოდა, მაგრამ იმდენად გასცილდა ჩვეულებრივ საზღვარს, რომ დროა სასწავლებელთა უფროსებმა და სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველმა მკაცრი ყურადღება მიაქციონ მის აღმოფხვრას და დატუქსონ ამ რიგნი ზნეობითნი კოჭლნი მასწავლებელნი, ეგ მგელნი ცხვრის ტყავში...

—

აგერ ერთი კვირაა, რაც გვესტუმრა თფილისის დრამმატიული ტრუპპა, შემდეგ ბათუმში და ფოთში ყოფნისა.

ჯერ-ჯერობით სამი წარმოდგენა გამართეს და ამ სამში ორი სწორედ არტისტულად შეასრულეს. ამ სტუმრობის დროს ქუთაისელების განსაკუთრებითი ყურადღება მიიქციეს ნ. გაბუნიამ („ორ-ცეცხლ-შუა“ მატილდას როლი) და ნ. ჩორჯაძემ („მაჭანკალი“—ლუარსაბის როლი და ვოდევილში „იჭვიანი“) რომელიც მხოლოდ ეხლა ნახა ქუთაისის საზოგადოებას და პირველ თამაშისთანავე აღიარა იგი დახელოვნებულ აქტიორად...

რაც შეეხება ნივთიერს მხარეს— ამის შესახებ კი ძაბუნად დავხდით

*) ხშირად ეს მომზადება ამ რიგია: რეპეტიტორი ურიგდება—400—500 მ. სწავლის ფასად. შაგირდი მივა რამდენჯერმე, მასწავლებელი დაუწყებს სხვა-და-სხვა ამბებზე ლაპარაკს, ჩაის ასმევს და სხვ.

ზარდე ყმაწვილები ითვისებენ უმეცრების და უსაქმობის გამო.

სამწუხაროდ ჩვენი მოწინავე პირნიც არ აკლებენ ხელს უმისოთაც ილაჯ-მიწყვეტილ მდაბიო ხალხს; ისინიც ბევრჯელ ტყავს აძრობენ უბრალო რამისათვის. ერთი სიტყვით, ბევრი უწესოება სუფევს ჩვენს ბურიაში; მაგრამ ყველა შეუნიშნავათ რჩება. ნათქვამია, რომ „სოფელი ენახე უძაღლო, შიგ ვაიარე უჯოხოვო.“ ამის არ იყოს, როგორც უნდათ, სამართალს ისე ატრიალებენ. ვინ არის ხმის ამომღები?

ივანე კილაძე.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! მარტყოფის სოფლის საზოგადოებას და ამავე სოფელში მცხოვრებელთ კნეინებსა: ელისაბედ ბურგენიძისას და ამისავე ასულს ნინა ხიმშიევისას, აქვსთ ურთიერთა შორის დავა წყაროს წყალზედ, სახელად წოდებულ „ანიშურის წყარო“, რომელიც სწარმოებს თბილისის ოლქის სამსაჯავროში, და რომლის განსახილველად მობძანდა ამავე ოლქის სასამართლოს წევრი ამ წლის წარსრულს თიბათვის თვეში; მაგრამ ჯერეთ განჩინება არა ვითარიმე არა სჩანსრა; მხოლოდ სარგებლობით-კი ზემორე ნათქვამი კნეინები სარგებლობენ თავიანთის ძალით.

აი როგორი უსამართლოება და მტაცებლობა სუფევს აქა:

ეს ნათქვამი წყარო გამოდის კნეინების კუთვნილის ბალჩის ღობის გარედგან, რიყის პირში, იმ რიყის პირში, რომელსაც სახელად ეწოდება „ტევალის-ხევი“ და რომელიც ეკუთვნის მარტყოფის საზოგადოებას; ამ რიყეზედაც მოდის წყალი, სათავის მექონე, სახელად წოდებულის „ილონოს-მთა“. ეს ბოლოს წყალი რომ მოდის, ერთდება ამ წყაროს წყალთან იმ ადგილსა, სადაც წყარო გამოდის; ამის გამო, კნეინები უწოდებენ ორთავე წყლებსა საკუთრად: მფლობელობენ და სარგებლობენ.—აი როგორ: გლეხთაგანნი, რომელიც მისცემს **სამს მანეთს**, ერთი დღე და ღამე რასაც მორწყავს, იმან უნდა ადინოს და მეორე დღეს თუ დასჭირდება, იმის ფასი სხვა უნდა მისცეს; ვისაც არა აქვს სამი მანეთი, იმის ვენახი ანუ მამული რჩება მოურწყავად.

ეს კიდევ არასფრად მიგვაჩნდა. დიდი ბედნიერნი ამით ვიყავით, რომ აქამდისინ მარტყოფის რაოდენიმე მეკომურნი ანუ უბანნი უჩხუბრად და უდავოთ ზაფხულში ვსარგებლობდით სასმელის წყლითა ამ წყაროდგან, რადგანაც ხევის-წყალი ძალიან თბილია, შორიდგან მომავალობისა-გამო. ეხლა, იქამდისინ ნება მისცეს თავიანთ თავსა, რომ აღარ გვანებებენ სასმელს წყალსა! დასარწმუნებლად ამის მოგახსენებ შემდეგ ფაქტსა: ჩემი სახლი, რადგანაც შორავს ამ წყაროსა ნახევარის ვერსით და რადგანაც ჩემსავე სახლში ირიცხების თოთხმეტი სული, ამისათვის მაქვს წყლის საზიდავი ბოჩკა გამართული ორ თვლიან ტაჩკაზედა; ჩემი მოჯამაგირეები წავიდნენ წყლის მოსატანად და ქ. ქ. კნეინებსა არ დაენებებინათ წყილი, „ფულით ვყიდითო“. ამ დროს შემატყობინეს მეცა. მივმართე თხოვნით, ამ სოფლის ნაცვლის თანადასწრებითა და არამც თუ არ მომცეს ნება ბოჩკის გავსებისა, უშვერის სიტყვითაც გამოგვისტუმრეს. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა! ჯერეთ, რომ ამ დავის გარჩევა არა ყოფილა, კანონით ვის დაეკუთვნება: საზოგადოებას, თუ კნეინებთა,—არვიცით და ესე შეუსაბამოდ და შეუბრალებლად გვეპყრობიან, მაშინ რაღა მოგველის, თუ დაეკუთვნებათ იმათა? შეჭველია დიდი შეჭირვება და ვაება მოგველის. მაშინ ვექმნებით იძულებულნი ან ძვირ ფასად ვიყიდოთ და ან ტევალის თბილი წყალი ვსვათ, რომელ-თაც მოგვესპობა უდროოთ სიცოცხლე.

მარტყოფის მღვდ. პეტრე ებიტოვი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 15 ენკენისთვიდამ პარიჟში გამოვა ახალი გაზეთი „რევიზიონ“, გამბეტტას აზრების გამტარებელი. ამ გაზეთის სახელიდამაც სჩანს, რომ ის კონსტიტუციის გარდახედვის (რევიზიის) აზრისა იქნება.

— 31 აგვისტოს ჰანრი როშფორი, დაესწრო პარიჟის მე-9 უბანში ამორჩევების დროს. „შეურიგებელთ“ (როშფორის მომხრენი) ურჩიეს მას, რომ ასულიყო ტრიბუნაზედ და სიტყვა ეთქვა; მაგრამ, ავიდა თუ არა, საზოგადოებამ ერთბაშათ: „გაუმარჯოს გამბეტასაო!“ შეჰყვირა თურმე. როშფორს ჰსურდა ლაპარაკი, მაგრამ ხმაურობამ არ მისცა ნება და იძულებული შეიქნა ჩამოსულიყო ტრიბუნიდამ.

— ალჟირში და ტუნისში აჯანყება თან-და-თან მატულობს. საფრანგეთი იძულებული შეიქნა იხმაროს მკაცრი და ენერგიული საშუალება და, ამ აჯანყებულების დასამშვიდებლათ, დიდ-ძალ ჯარსა და საომარ მასალებს გზავნის ამ ქვეყანაში.

ამ ცოტა ხანში საფრანგეთს თავის შინაგანი საქმეები აწუხებდა: მთელი ყურადღება ამორჩევებზედ იყო მიქცეული. ამასობაში აჯანყებულებსაც რამაზანი ჰქონდათ და ისინიც მშვიდათ იყვნენ, მაგრამ ეხლა რამაზანსაც მორჩნენ და ხელ-ახლად აჯანყდნენ. მაგრამ, მეორეს მხრით, საფრანგეთიც მორჩა ამორჩევებს და ეხლა ისიც დიდის მეცადინეობით შეუდგა აჯანყებულთა დამშვიდებას.

— დამატებითი ამორჩევები საფრანგეთში ბევრათ უფრო კარგათ გათავდა რესპუბლიკური პარტიისათვის, მინამ გაზეთები უქადიდნენ. ახლა რესპუბლიკელების რიცხვი ნაციონალურ კრებაში არის 459 და მონარხიელები და ბონაპარტიელები კი მხოლოდ 88. რადიკალებმა გაიმარჯვეს პარიჟში. ბულადი მოწინააღმდეგე გამბეტასი ბელველის უბნის მეორე ანყოფილებაში, ტონი რევილიონ, ამორჩეული იქმნა დეპუტატათ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მი-

---

ჩვენდა სამწუხაროდ. მიზეზი ისაა, რომ შეძლებულთ უმრავლესობა ჯერ-ჯერობით კიდევ სოფლებშია, ან მადნის წყლებზე...

თუ ქუთაისზე არ არიან კმაყოფილნი ჩვენი ნიჭიერნი აქტიორნი, მაგიერად ისინი დიდს მადლობას უძღვნიან და პატივისცემით იხსენიებენ ყველა სოფელ-დაბებს და ქალაქებს. სადაც კი მათ წარმოდგენები გაუმართავთ. „არა თუ ერთს არამედ რამდენიმე ტრუპპას შეუძლია ჩვენში არსებობა თუ კი ისინი ხშირად გაიმგზავრებენ სოფლებში და პატარა დაბა ქალაქებშიო,“ სამართლიანად ამბობენ ისინი.

მართლაც ჩვენი ხალხის ნივთიერი შეძლება განსაკუთრებით სოფლებში და წვრილ-წვრილ დაბებში მოიპოვება. თავად-აზნაურობა და საზოგადოდ შეძლებული ნაწილი ხალხისა მხოლოდ სტუმრებია თფილისასა და ქუთაისის ქალაქებისა, სადაც სცხოვრობენ თითქმის მარტო ვაჭრები და ჩინოვნიკები. როგორ გნებავთ ამათ იარონ თეატრში, როცა მათ, მეტადრე ვაჭრებს, არც კი ესმისთ რა განრჩევაა თეატრის წარმოდგენისა და განსვენებული აბელას ჯოხებზედ სიარულის შორის?

თუ კი ვინმეს ესმის და მას უთუოდ ხელის უშლის მეორე ჭირი—სიღარიბე. ცოლ-შვილით ჩინოვნიკი, რომლის წლიური შემოსავალ-ჯამაგირი არ აღემატება 600-1000 მანეთს, შეიძლება წელიწადში ეროჯერ ან ორჯერ ძლივს წავიდეს თეატრში, ვინ იცის იქნება მაშინაც ნასესხები ფულითაც. და თუ კი ეს წარმოდგენები ზედი-ზედ გაიმართება—მაშინ ხომ ნურას უკაცრავად! სიტკბოება კარგია მაგრამ კუჭის გაძღომა კიდევ უკეთესი გახლავთ...

სულ-სხვაა დიდ-დიდ სოფლებში და დაბებში, სადაც სცხოვრებენ შეძლებული თავად-აზნაურობა და არა ნაკლებ შეძლებული გლეხობა. აქ ისინი მასპინძელნი გახლავან, სრული პატრონი და მეუფე ყოველივე თავიანთ შეძლებისა და არაფრად ჩააგდებენ კვირაში ერთი თუმნის დახარჯვას, თუ კი მაგიერად რაიმე სიამოვნებას მოიპოვებენ...

ამის თქმა, რომ ცალიერ სიტყვებად არ ჩამოგვართვათ მივითითებთ შემდეგს დამამტკიცებელს და სასიამოვნო ფაქტზე. ამას წინად, „დროების“ მე-174 №-ში დაბეჭდილი იყო შენიშნვა, რომ სოფ. დიდ-ჯიხაიშს (იმერეთში) გამართულს წარმოდგენაზე, ადგილობრივის მემამულეს ქ. ლ—ძის სახლობის თაოსნობით. ისე კარგად წასულა ეს პირველი წარმოდგენა ადგილობრივის უცაბედ—აქტიორებისაგან და ისე მოსწონებიათ იქაურებს იგი, რომ სურვილი გამოუცხადებიათ „კარგი იქნება მალ-მალ გავმართავდეთ ამისთანა წარმოდგენებსო“. ბ. ქ. ლ—ძე თვითონ პირადად ეუბნებოდა ამ სტრიქონების დამწერს, რომ ის აპირებს ამ სურვილის ასრულებისათვის მოყვარულთა წრის შედგენას და **სამასი კაცისათვის** მოსათავსებელის სათეატრო დარბაზის გაკეთებას. სცენის მოწყობილობის და თეატრალური ბიბლიოთეკის შეძენას ერთი პატივცემული აზნაური დაგვპირდაო. „ამ მოყვარულთ წრის წარმოდგენებისაგან შემოსულ ფულით „გამსესხებელ-შემნახველ“ ამხანაგობა უნდა დავაარსოთო“ გვითხრა ზემოხსენებულმა პირმა, რომელსაც ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებთ მისი კეთილი და სასარგებლო მიზნის რიგიანად ასრულებას. სასურველია მხოლოდ რომ ამ შესადგენელ წრემ ხეირიანი პიესები აირჩიონ წარმოსადგენად და თავიდამ აიცილონ იმისთანანი, რომელნიც უმსგავსო შინაარსით, გონება განუვითარებელ საზოგადოებას უფრო ავნებენ ვინემ სარგებლობას მიუტანენ.

რიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობი-სა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათ-მყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკუ-რი და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწ-ვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვი-ნო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურ-ჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** (10—9)

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მუ-რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტე-ები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშ-ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვი-ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐ-ᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ, 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი სარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრი-კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და-ნები ხანჯლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე-ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—1)

ჩარკვიანის და ამხ.

# ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

გადავიდა თ. მუხრანსკის სახ-ლებში, ატამანის ქუჩაზე, სა-ქართველოს გოსტინიცის პირ-და-პირ **№ 15.** ი—5

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—34)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურ-ველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირ-ველი მოკრეფილისა **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** **1** მან. **20** კაპ. და **2** მან. და შეადაროს ჩაის **1** **60** კაპ. და **3** მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რა-მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღა-ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-ნით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—28)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი,** ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა. კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონი-სა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნა-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბრი-ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-კინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მუ-რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდე-ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭიკინას გიარები. (100—16)

**ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ** ნაღდით რომ ბაჟი მოი-მატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფა-სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მა-ნეთამდინ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.** სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასას-ყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკო-ლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფ-ლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—98)

**ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ**

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაპუსინა არშ. 40 კა. სტა-ქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსე-ბი 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნა-ხევარ ფასად და სხვ. (25—20)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**ᲗᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲧᲕᲐᲜᲘ**



**ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡ-ᲢᲔᲠᲘ**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუა-ლეტის საპონი, დუხები და სხვ (100—23)

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘ-ᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:** პაპუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—11)

**ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲢᲠᲝᲤᲘᲛᲘᲡᲫᲔ ᲒᲐᲠᲓᲘᲔᲕᲡᲙᲘ**

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თა-ვის-თავზე **ᲡᲣᲓᲔᲑᲨᲘ** დაცვას და წარ-მოებას **ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ** და **ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲡ.**

უოველი მონდობილება ქუთაის გარეთ მცხოვრებლებიდგან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუდამი ბინა მექნება ქალაქ ქუ-თაისში, ბილახვანის ქუჩაზე, ნიკო-ლაიშვილის სახლში. (5—5)

**ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲥᲘᲥᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐ-ᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის და-საწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული მ. ხ. ორბელია-ნისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავი-თისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ... მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლის მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный ма-газинъ Захарія Чичинадзе.** (5—5)




მთელს ქვეყანა-ში გამოჩენი-ლი და ყველა-საგან ხმარე-ბული **ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ,** რო-მელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდე-ბა ხოლმე, განსაკუთრებით ხშირთა ფეხის თითებს შუა,




# ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამ-ლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელე-ქტორალნის ქუჩაზე **№ 35.** დიდი კარო-ბკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა —. 30 კაპ. უნდა გაუფრთხი-ლდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემო-გატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკას-თან იყოს: ასხნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—20) გ. კარპინსკი.

**ᲢᲐᲥᲡᲘᲐ**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დატარებით 15 დღის გან-მავლობაში, 1 სეკტემბრიდამ 15 სეკ-ტემბრამდის.**

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — | |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. | |
| მეორის | „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის.ლავაში | 1 გირ. | 7 კ. | |
| მეორის | „ „ | —1 გირ | $5^1/_2$ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. | |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. | |
| მეორის | „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილი-სის ბაზრებში და მაღნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი